სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სოფელ დართლოს 22 ისტორიული ნაგებობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 4 ნოემბერს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #1412) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | შპს „სინთეზი" | 10.11.2014 16:30 | თეონა ალავერდაშვილი ა. |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატის წევრი
გ. გოგაძე

**საგადახდო დავალება**
**Payment Order**

# 1 GEL

თარიღი / Date: 07/11/2014

ს.ს. "თიბისი ბანკის" ქვემო ქართლის რეგ. ფილიალი

რეფერენსი / Ref. Num.: 1105117908

გამგზავნი / Sender: შპს 'სინთეზი' - 416302003

გამგზავნის ანგარიში / Sender's Account: GE85TB7021636080100006

გამგზავნის ბანკი / Sender's Bank: სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

**ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა**
**Information on a person on behalf of whom the payment is made**

დასახელება / Name: შპს 'სინთეზი'

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 416302003

მიმღები / Receiver: ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code: 302009000

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code: TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information: საკონკურსო განაცხადის უნიკალური ნომერი:1412

ხელმოწერები
Signatures

მ.ა.

თანხა / Amount: 50.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words: ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

შესრულების თარიღი / Operation Date: 07/11/2014

ბანკში შემოსვლის თარიღი / Received: 07/11/2014

ხელმოწერა
Signature

შემსრულებელი

TBCBGE22

11/7/2014 5:43:33 PM 1105117908

მერი ქველიშვილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, როგორც ურთიერთშეთანხმებულ ხელშეკრულებას.

# სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #2530216-2739941

ქ. რუსთავი — 2014 წლის 10 ნოემბერი

35/105-02

სს "თიბისი ბანკი", წარმოდგენილი მისი რუსთავის ფილიალის დირექტორის გიორგი ნებიერიძის სახით მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით:

| | |
|---|---|
| გარანტი: | სს "თიბისი ბანკი" |
| პრინციპალი : | შპს სინთეზი<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 416302003<br>რეგ. თარიღი: 14/08/2012 |
| ბენეფიციარი : | სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო |
| გარანტიის თანხა : | 378.4 (სამასსამოცდათვრამეტი ლარი და 40 თეთრი) ლარი |
| გარანტიის გაცემის საფუძველი : | "ბენეფიციარის" მიერ გამოცხადებული ტენდერი. აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობისთვის "პრინციპალმა" უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია. |
| გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება: | "გარანტი" კისრულობს ვალდებულებას, ამ საბანკო გარანტიის წერილის პირობების გათვალისწინებით, პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის[1] ვადაში "ბენეფიციარს" გადაუხადოს მოთხოვნაში მითითებული თანხა, მაგრამ არაუმეტეს გარანტიის თანხისა<br>1. სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.<br>იმ შემთხვევაში, თუ გარანტიის თანხა დენომინირებული იქნება უცხოურ ვალუტაში, ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი ეკვივალენტით ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად).<br><br>ბენეფიციარმა წერილობით მოთხოვნაში (რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ) აუცილებელი წესით უნდა მიუთითოს თუ ქვემოთ მოყვანილი შემთხვევებიდან რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა:<br>1. სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ "პრინციპალმა" უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების ვადის დასრულებამდე;<br>2. "პრინციპალმა" გამარჯვების შემდეგ უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე;<br>3. "პრინციპალი" დისკვალიფიცირებულ იქნა პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.<br><br>წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს სს თიბისი ბანკის რუსთავის ფილიალის კანცელარიაში სამუშაო საათებში. |
| გარანტიის მოქმედების ვადა : | 10/11/2014 -ის ჩათვლით ან 09/01/2015- მდე (კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით).<br>მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღის ჩათვლით ან<br>მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნას ამ თარიღამდე (კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით). |

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა "პრინციპალის" შეუსრულებელ ვალდებულებაზე მითითებით, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება (ბენეფიციარის მოთხოვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის გასვლით).

საბანკო გარანტია ზემოაღნიშნულის გარდა ასევე უქმდება შემდეგ შემთხვევებში:

- ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობითი უარის თქმით და საბანკო გარანტიის დედნის გარანტისთვის დაბრუნებით;
- პრინციპალის მიერ საგარანტიო ვალდებულების სრულად შესრულებით, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იქნას ბენეფიციარის მიერ.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (პუბლიკაცია #758).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" რუსთავის ფილიალის დირექტორი გიორგი ნებიერიძე / ---------------- /

დანართი #1

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შ.პ.ს. სინთეზი

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: თეონა ადიკაშვილი

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: ქ. რუსთავი, მეგობრობის 18/71

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: ქ. რუსთავი, მეგობრობის 18/71

საიდენტიფიკაციო კოდი: 416302003

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 597513112

ელექტრონული მისამართი: teonaadikashvili@gmail.com

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE85TB7021636080100006

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 37839.60 ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2014წ. 10 დეკემბრის ჩათვლით

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად:

ხელმძღვანელის ხელმოწერა თეონა ადიკაშვილი

თ. [signature]

"სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD შპს SYNTHESIS 416302003

თ. [signature]

## აფიდავიტი

**საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე**

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

• საკონკურსო წინადადების ფასი;
• საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
• საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
• ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
• შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☑ გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის $195^{1}$ მუხლის შესაბამისად.

საკონკურსო წინადადება

# სოფელ დართლოს 22 ისტორიული ნაგებობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე



შ.პ.ს. სინთეზი

2014წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტი

სოფ. დართლო

22 ნაგებობის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა

I ეტაპი

| № | შესასრულებელი სამუშაო | ღირებულება ლარში |
|---|---|---|
| 1 | განმარტებითი ბარათი ობიექტების მდგომარეობისა და პრობლემ(ებ)ის აღწერით | 400 |
| 2 | ფოტო დოკუმენტაციის მომზადება: საპროექტო ობიექტის საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა. | 433 |
| 3 | სოფ. დართლოს 22 ნაგებობის აზომვა | 4000 |
| | ჯამი: | **4833.0** |
| | სამემოსავლო ზედნადები 20% | **966.6** |
| | ჯამი: | **5799.6** |

II ეტაპი

| № | შესასრულებელი სამუშაო | ღირებულება ლარში |
|---|---|---|
| 1 | ანაზომის გამოხაზვა | 6900 |
| 2 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევების მომზადება | 4400 |
| | ჯამი: | **11300.0** |
| | სამემოსავლო ზედნადები 20% | **2260.0** |
| | ჯამი: | **13560.0** |

III ეტაპი

| № | შესასრულებელი სამუშაო | ღირებულება ლარში |
|---|---|---|
| 1 | არქიტექტურული ნაწილი | 11000 |
| 2 | კონსტრუქციული ნაწილი | 2200 |
| 3 | ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა | 2200 |
| | ჯამი: | **15400.0** |
| | სამემოსავლო ზედნადები 20% | **3080.0** |
| | ჯამი: | **18480.0** |

სულ ლარი: **37839.60**

# თამთა გოგილიძე

**CURRICULUM VITAE**

დაბადების თარიღი: 19/07/1991

მისამართი: ქ.თბილისი, ც. დადიანის ქ. № 303, II სადარბაზო, ბ.№ 29.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

ტელ.: (+99593) 677 877; (+99599) 411 233; (+99532) 269 40 56.

E-mail: tamtagogilidze@yahoo.com

პ/ნ 01011078074

განათლება:

2008 – 2012 წ. – ქ. თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული სადვთისმეტყველო ინსტიტუტის ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი.

"SYNTHESIS" LTD * 416302003

**<u>სამუშაო გამოცდილება:</u>**

2014 – წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მექვენა (ლეჩხუმი), სასაფლაოს ეკლესიის რესტავრაციის პროექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

2014 – ქ. თბილისი. გალაკტიონის 23. პროექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

2013 – წყალტუბოს რ/ნი სოფ. გუმბრა. წმ ბარბარეს ეკლესიის სარესრტავრაციო პროექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

2013 – საჩხერის რ/ნი. ძირულას ხეობა. ნასოფლარი ჟრუნა. ღვთისმშობლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

**<u>კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:</u>**

MS Word; Excel; Windows;

**<u>ენები:</u>**

ქართული - მშობლიური
რუსული - ელემენტარული
ინგლისური - ელემენტარული

# ვიტალი ნაზაროვი

ხმელნიცკის ქუჩა 44 „ა"
საქართველო
0136 თბილისი
ტელ: (995 32) 79 10 76
მობ: (995 93) 39 31 55
ელ.ფოსტა: vivanazarone@mail.ru

## პირადი ინფორმაცია

- ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
- სქესი: მამრობითი
- დაბადების თარიღი: 27.05.1951
- დაბადების ადგილი: თბილისი

## განათლება

1973-1980 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
*(სამრეწველო და ქალაქგეგმარებითი მშენებლობის ფაკულტეტი)*
**ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია** 1980
მაგისტრის ხარისხი ქალაქ-გეგმარებით მშენებლობაში.
თელავის ღვინის ქარხნის პროექტირება, ხარჯთაღრიცხვა, არქიტექტურა, ვენტილაცია.

## მუშაობის გამოცდილება

შ.პ.ს. „ტოპ" - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები
ტექნიკური განყოფილების ინჟინერი შ.პ.ს. „ მ & ნ" 2006-დღემდე
ქალაქგეგმარებითი ინჟინერია - „კარიტას საქართველო" 2004-დღემდე
დაგეგმარებისა და ტექნიკური დეპარტამენტის უფროსი 1989-2004

*„სპეცრემტრანსმშენი"*

დაგეგმარებისა და ინდუსტრიის დეპარტამენტის უფროსი 1980-1989
სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების საბჭოში

"SYNTHESIS" LTD 416302

კულტურის სამინისტროში
ქალაქგეგმარებითი ინჟინერიის სამშენებლო დეპარტამენტში 1975-1980
ვაჭრობის სამინისტროს ექსპერტი და მრჩეველი სამშენებლო საქმიანობაში.

## შესრულებული სამუშაოები

- კარიტასის ახალგაზრდული ცენტრი
- სარემონტო სამუშაოები ისტორიული ძეგლები: იყალთოს მონასტერი, უბისის მონასტერი, სომხური კათედრალი თბილისში, ვარძიის ისტორიული კომპლექსი.
- მიწისძვრით დაზიანებული საბავშვო ბაღებისა და სკოლების ზედამხედველობა
- ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენითი სამუშაოები, ფასადის მოპირკეთება.
- სამხატვრო აკადემიის აღდგენითი სამუშაოები
- რუსთაველის თეატრის სრული რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- სახელმწიფო კონსერვატორიის რეკონსტრუქცია და აღდგენითი სამუშაოები
- საქართველოს ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია
- ქუთაისში კალათბურთის სპორტული კომპლექსის ხარჯთაღრიცხვა
- საცურაო აუზების და სპორტული დარბაზების ხარჯთაღრიცხვა: გურჯაანი, საგარეჯო, მესტია, ლანჩხუთი, ჭიათურა.
- სასტუმრო გუდაურში

## ენები

- ქართული-კარგად
- რუსული-კარგად
- სომხური-კარგად
- ინგლისური-საშუალოდ

## კომპიუტერული პროგრამები

- Microsoft Excel, Microsoft Word
- Archicad

# Curriculum Vitae



<u>გურამ ბედუკაძე</u>

<u>ეროვნება:</u> ქართველი

<u>უცხო ენები:</u>

რუსული – თავისუფლად (რუსული განათლება)
ინგლისური – საშუალოდ (მარტივი პროფესიული საუბარი)
ფრანგული – კარგად (3-წლიანი პრაქტიკა ალჟირში)
გერმანული– სუსტად (სკოლის კურსი, საკანდიდატო მინიმუმი)

<u>განათლება:</u>

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეც-ბა: <u>სამრეწვ. და სამოქ. მშენ-ბა</u>
საქ. ენერგეტიკისა და ჰიდროტექნ. ნაგებობათა კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა
სპეციალობა: – <u>ჰიდროტექნიკური ნაგებობები</u>

<u>სამეცნიერო ხარისხი:</u> მეცნიერებათა დოქტორი

<u>პროფესიული ასოციაციების წევრობა:</u> საქ. მშენებლობის ექსპერტთა ასოციაციის წევრი

<u>ტრენინგები:</u>

- დანიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის 6 თვიანი ტრენინგ-პროგრამა **"სამეცნიერო კვლევების და ტექნიკური განვითარების მენეჯმენტი"** (ტასისის პროგრამა).
- **TUV** ასოციაციის (გერმანია) ტრენინგ-პროგრამა **"ISO 9001:2000 ხარისხის მენეჯმენტი შიდა აუდიტორებისთვის"**
- ჰანს ზაის ინსტ-ტის (ავსტრია) ტრენინგ-პროგრამა "უძრავი ქონების შეფასება-ინვესტიცია"
- სოციალური კვლევების საერთაშორისო ცენტრის პროგრამა "პროექტის მენეჯმენტი"

<u>კომპიუტერული პროგრამების ფლობა</u>: **MS Office, MS Project, Win-Smeta, , Lira, AutoCAD**

<u>საერთო შრომითი გამოცდილება:</u>

15 წელი პრაქტიკული მუშაობა რკინაბეტონის და ლითონის კონსტრუქციების, ლითონის ხიდების, სხვადასხვა შენობების და საინჟინრო ნაგებობების მშენებლობაზე, სატუმბო სადგურებზე, სადაწნევო მილსადენებზე, წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელებზე, მიწის და ბეტონის კაშხლებზე, ჰიდროტექნიკურ გვირაბებზე, ნაპირგამაგრებებზე, დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრებაზე. (თბილისი, გორი ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები)
*თანამდებობები- პროექტის მენეჯერი, მთავარი ინჟინერი.*

3 წელი მუშაობა საზღვარგარეთ ( ალჟირის რესპუბლიკა, კაშხალი ალ-იზდიარი)
*თანამდებობა-ტექნიკური ზედამხედველობის და ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსი*

10 წელი საპროექტო სამუშაოების გამოცდილება –ლითონის, ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება (მათ შორის სამრეწველო და სამოქალაქო შენობები, ლითონის გასაშლელი ხიდები, ნაპირგამაგრებები, ეროზიის საწინააღმდეგო ნაგებობები, ავარიული შენობების რეაბილიტაცია) ("ჯეოინჟინერინგი", შპს " დარბაზი", შპს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, შპს "ენერგია".)
*თანამდებობები – საპროექტო განყოფილების ხელმძღვანელი, პროექტის მთ. ინჟინერი.*

<u>პარალელურად ძირითად სამუშაოსთან</u>

18 წელი სამეცნიერო–კვლევების და ტექნიკური დიაგნოსტიკის სამუშაოები სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ და საინჟინრო ნაგებობებზე. ( "გრუზნიიეგსი", "კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი" "ჯეოინჟინერინგი"). *თანამდებობა–პროექტის მენეჯერი.*

15 წელი ლექციები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
*ლექციათა კურსები საგნებში: ლითონის, ბეტონის და ხის კონსტრუქციები", „ნაგებობათა გამოცდა". "მშენებლობის ორგანიზაცია, მართვა და ეკონომიკა";*

<u>დამატებითი ცნობები:</u> 55 ნაბეჭდი შრომა, 8 გამოგონება, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და კონგრესებში (აშშ, საფრანგეთი, პორტუგალია)

<u>ბოლო 10 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები:</u>

2001–დღემდე შპს „გეოინჟინერინგი"
*მთავარი ინჟინერი*

2013 ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ. თისელის წმ. გიორგის ეკლესიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა
*ინჟინერ–ექსპერტი*

2013 საჩხერეს რაიონში ხოდაბუნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტი
*პროექტის მენეჯერი*

2012 რიკოთის გვირაბის კონსტრუქციების საინჟინრო კვლევები
*ინჟინერ–ექსპერტი*

2012 მაჭახელა ჰესის საინჟინრო გეოლოგიური კვლევები
*ინჟინერ–ექსპერტი*

2010 ბებრისციხის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები
*ინჟინერ–ექსპერტი*

2009 მტკვარი ჰესის კონსტრუქციების საინჟინრო კვლევები
*ინჟინერ–ექსპერტი*

2007 აშშ საელჩოს საცხოვრებელი კოტეჯების მშენებლობის ზედამხედველობა
*პროექტის მენეჯერი*

2005-06 BTC ნავთობსადენზე კოდიანას უსაფრთხოების ბაზის მშენებლობა.
*პროექტის მენეჯერი*

2005 თბილისის ფუნიკულიორის შენობის ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა
*პროექტის მენეჯერი*

2003–2004 BTC ნავთობსადენის PSG-1 & PSG-2 სარქველების სადგურების მშენებლობა
*პროექტის მენეჯერი*

2003 აზერბაიჯანში WREP & NREP ნავთობსადენების მდინარეებთან გადაკვეთებზე ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები პროექტირება
*პროექტის მთავარი ინჟინერი*

2002 გარდაბნის გრესის მე-9-ე ბლოკის კონსტრუქციების მდგომარეობის და უსაფრთხოების გამოკვლევა და გაძლიერების რეკომენდაციების შემუშავება
*ინჟინერ–ექსპერტი*

2002 ამერიკის საელჩოს ახალი სახაწყობო შენობის პროექტირება და მშენებლობა
*პროექტის მთავარი ინჟინერი*

1999 პირველი ქართული კოსმოსური ანტენის რეფლექტორის დაპროექტება, დამზადების ზედამხედველობა და მიწისზედა გამოცდები
*პროექტის მენეჯერის და მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე*

1998 სწრაფადგასაშლელი ლითონის ხიდის დაპროექტება, დამზადების ზედამხედველობა, საქარხნო და საველე გამოცდები
*მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე და პროექტის მენეჯერი*

<u>Contact:</u> : beduk_saxli@yahoo.com

gurambedukadze@gmail.com

Mob. 988 25 55 38

# თეონა ადიკაშვილი

## CURRICULUM VITAE

დაბადების თარიღი: 09/09/1990

მისამართი: ქ. რუსთავი მეგობრობის გამზირი №18/71
ტელ.: 555 31 91 01 ; 0341 22 07 25

E-mail: teonaadikashvili@gmail.com

### განათლება:

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
სპეციალობა: არქიტექტორი

### სამუშაო გამოცდილება:

2013 წლიდან დღემდე შ.პ.ს. "სინთეზის„ ხელმძღვანელი

2013 პირიქითა ხევსურეთი შატილი აზომვითი სამუშაოები

2009-2014 არქიტექტურული კომპანია ტოპარტი, არქიტექტორი

2008 – რაჭა, ზემო ბარი ჭბოს მთავარანგელოზის ეკლესია, აზომვითი სამუშაოები, პროექტი AutoCAD ფორმატში

2008 – ხევსურეთი, ციხექალაქი მუცო აზომვითი სამუშაოები, პროექტი AutoCAD ფორმატში.

### კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

Autocad; Archicad. 3D Max; Photoshop; ….

### ენები:

ქართული – მშობლიური
რუსული - კარგად
ინგლისური - საშუალოდ

# სალომე ზაზუნიშვილი

ვაჩნაძის ქ. №6 თბილისი, საქართველო

ტელეფონი 599 57 76 75

ელ-ფოსტა slmzazunishvili@yahoo.com

*პირადი ინფორმაცია*

- ეროვნება: ქართველი
- დაბადების თარიღი: 21.07.1982
- დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო

*განათლება*

- 1999წლიდან 2005 წლამდე – აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი
- 2005 – აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. დაზგური გრაფიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის დიპლომი წარჩინებით.
- 2005-2008 – აპოლონ ქუთათელაძის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის რესტავრაციის ფაკულტეტი. სამაგისტრო ნაშრომი "მუცო" .
- 2011 წ. ტურიზმის განვითარების ცენტრი (NewKaz) გიდი და ტურიზმის მენეჯერი
- პროგრამები: **MS/Office; Adobe Photoshop; CorelDraw; ArchiCad; Internet skills**

*ტრენინგები*

- 2001-2002 - გრძელვადიანი ტრენინგ კურსი (I, II საფეხური და ტრენერების ტრენინგი) თემაზე „კონფლიქტების მართვა"; V (ძალადობის ალტერნატივის პროექტი), გაეროს; თბილისი, საქართველო.
- 1999-2001 – პრაქტიკული ფსიქოლოგიის გრძელვადიანი ტრენინგ კურსი თემაზე „პიროვნული ზრდა"; თბილისი, საქართველო.

*ენები*

- ინგლისური – სრულყოფილად
- რუსული – სრულყოფილად

*სამუშაო გამოცდილება*

- 2014- დღემდე - კერძო სკოლა "ლოგოსი" - კურატორი, ხელოვნების პედაგოგი
- 2013-2014 - სოფელი "დართლო" რესტავრაციის პროექტი
- 2013- დღმდე - LEAF [Liberal Enhanced Arts Foundation]- პედაგოგი
- 2013-2014 თბილისის საქალაქო სასამართლო- საინფორმაციო განყოფილების უფროსი. პრესცენტრის სპეციალისტი
- 2010-2011 – თბილისის კინოსა და თეატრის მუზეუმის ფასადების რესტავრაცია. არქივების მოძიება-შესწავლა.
- 2009 – Tbilisi Open Air Alter/Vision -სოციალური ქსელების მართვის მენეჯერი / ბენდ მენეჯერი
- 2009-2010 – "მირზოევის აბანო" რესტავრაცია- რეაბილიტაციის პროექტი. აზომვითი სამუშაოები, ინტერიერი, დოკუმენტური მასალები.
- 2008 - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსის ინტერიერის პროექტი, კომპიუტერული გრაფიკა
- 2007-2008 – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. (ძველი შენობის) ფასადების აზომვითი სამუშაოები. პროექტის თანაავტორი, კომპიუტერული გრაფიკა.
- 1998-2008 – სხვადასხვა ექსპედიციები ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე
- 2005 –არქიტექტურული ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში
- 2004 – რამოდენიმე სარესტავრაციო ობიექტი ძველ თბილისში
- 2004 – ექსპედიცია "მუცო"
- 2004 წ. რუსთაველის თეატრის შენობის ისტორიული ნაწილის რესტავრაცია ქ. თბილისი.
- 2005 წ. კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის ისტორიული ნაწილის რესტავრაცია.
- 2005-2006 წ. ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი. 2006 წ. ფასადი.

- 2007 წ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფასადების რესტავრაციის პროექტი
- 2002 წ. ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში.
- 2002 – ტრენინგკურსი ალექსეევკის საჰაერო სამხედრო-საწრთვნელი ბაზის სამხედრო მოსამსახურეებისათვის, თემაზე ლიდერობა და კონფლიქტის მართვა; ტრენერი; თბილისი, საქართველო.

*მოხალისეობრივი გამოცდილება*

- 2003 – სტუდენტური ექსპედიცია პირიქითა ხევსურეთში "მუცო – ხევსურული ლეგენდა"; ორგანიზატორი, ტრენერი.
- 2003 – საზაფხულო პრაქტიკა ბორითის ეკლესიაზე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან ერთად.
- 2003 – საზაფხულო სკოლა მარტვილის რაიონის ბავშვებისათვის; ლიდერი; მარტვილი, საქართველო.
- 2003 – ტრენინგი კონფლიქტების მართვაზე მარნეულის და გარდაბნის რაიონების ახალგაზრდებისათვის; ორგანიზატორი, ტრენერი; თბილისი, საქართველო.
- 2003 – ტრენინგი ტრენერთათვის, ორგანიზებული ტრენერთა საინიციატივო ჯგუფის მიერ; თბილისი, საქართველო.
- 2003 – ბოდბის მონასტრის რესტავრაცია
- 1999 – ეკოლოგიური აქცია არმაზის ხეობაში; თანაორგანიზატორი.

*ჰობი*

- მუსიკა
- მშვილდოსნობა
- მოგზაურობა
- ალპინიზმი
- მხატვრობა
- თხილამურები

"SYNTHESIS" LTD

# სოფიო მაჭავარიანი

საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის 83/23

ეროვნება: ქართველი

სახლი: 995 296 74 74

დაბადების თარიღი: 04/სექტემბერი/1990

მობ: 995 593 61 49 29

E-mail: sophiomachavariani@gmail.com


## განათლება

| | |
|---|---|
| უმაღლესი სასწავლებელი | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| ფაკულტეტი | რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა |
| კურსი | მაგისტრატურა |
| თარიღი | 2011 – 2014 |

| | |
|---|---|
| უმაღლესი სასწავლებელი | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| ფაკულტეტი | რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობა |
| თარიღი | 2007-2011 |

| | |
|---|---|
| საჯარო სკოლა | №24 |
| თარიღი | 1996-2007 |

## გამოცდილება

| | |
|---|---|
| მაისი-ივლისი 2014 წ. | აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, სტაჟიორი მუზეუმის ფონდში |
| თებერვალი-მარტი 2014 წ. | თსსა. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობის რეაბილიტაციის პროექტი. ხელოვნებათმცოდნე |
| ნოემბერი 2014 წ. | სოფ. წინარეხი მარჯანიძეების სახლ-დარბაზი. ხელოვნებათმცოდნე |

"სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD

| | |
|---|---|
| სექტემბერი-ოქტომბერი 2014 წ. | საქართველოს მემკვიდრეობა, სოფელი ნაქიფარი - წმ. გიორგის სახ. ეკლესია. ხელოვნებათმცოდნე |
| 3-29 მაისი 2013 წ. | Workshop – Augmented - Reality Tbilisi – ARTbilisi Universita degli Studi Firenze, თსსა. |
| 30-31 მაისი 2013 წ. | სემინარი – Conservation of Archaeological Sites, with special reference to the Restoration of Acropolis, Athens |
| სექტემბერი 2012 | სოხასტერის ეკლესის რესტავრაცია-კონსერვაციის პროექტის მონაწილე. ხელოვნებათმცოდნე |
| ივლისი 2012 | თბილისის მეტეხის ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები – მდგომარეობის წინაწარი კვლევა (კარიბჭე, აღმოსავლეთ ფასადი) |
| თებერვალი-მარტი, 2012 | ატენის სიონის ტაძრის კედლის მხატვრობისა და ქვის საკონსერვაციო სამუშაოები – მდგომარეობის წინასწარი კვლევა |
| სექტემბერი –ნოემბერი, 2011 | საქართველოს მემკვიდრეობა<br>ტვიბის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია – რეაბილიტაციის პროექტი. ხელოვნებათმცოდნე აზომვითი სამუშაოების მონაწილე. |
| ივლისი – აგვისტო, 2010 | საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი, ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია<br>სომიწოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია -ძეგლის შესწავლა, გაწმენდა და აზომვა. |
| 2010 წ. | თსსა. ექსპედიცია – სამცხის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ადგილზე შესწავლა-მუშაობა. |
| 2011 წ. | თსსა. გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის 70 |

შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS

წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, თემა - „კინოთეატრი აპოლო".

2011 წ. ბათუმის „სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის", თემა - „მოდერნის სტილის არქიტექტურა, თბილისისა და ბათუმის მაგალითზე".

2011 წ. თეატრისა და კინოს მუზეუმი. სტაჟიორი ბიბლიოთეკის განყოფილებაში.

2011 წ. ევროპული სკოლა. ხელმძღვანელი საკურსო თემაზე "ანჩისხატი".

2009 წ. თსსა – „ქვა, ქაღალდი, მაკრატელი" – ბრიტანეთის საბჭოს კოლექციის გამოფენის workshop მონაწილე.

2008 წ. სასწავლო პრაქტიკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ, კულტურულ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტში.

ენები

| | | |
|---|---|---|
| ქართული | მშობლიური | |
| ინგლისური | კარგად | CALLAN METHOD Certificate stage 7 |
| რუსული | საშუალოდ | |
| იტალიური | B2 | |

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office

Internet

AutoCAD

Photoshop



CV

# Shota Gelashvili

Present address: Mukhiani III M/D Dumbaze st. # №6b.

Tel: 2-64-69-03

mob: 598-48-96-76

**E-mail:** arc-shota@mail.ru

**Web-page:** architrend.wix.com/architrend

## Personal informacion:

Date of birth05-12-1989y.

Ethnicity: Georgian

## Education:

2007-2011yy. Tbilisi state academy of art, of the faculty of architecture(bachelor's diploma)

2011-2013yy Tbilisi state academy of art, color and light in architectural design(masters's diploma)

## Working experience

2009წ. ბაგრატის რესტავრაცია. „რესტავრატორები და კომპანია"მთავარი არქიტექტორი ვანო გრემელასშვილი.

თანამდებობა: არქიტექტორი.

2010წ. თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის რესტავრაცია ქ. კარგარეთელეის№6. მთავარი არქითექთორი ნიკო ზაზუნიშვილი.

თანამდებობა: არქიტქტორი.

2011-2012წ.წ. კერძო დაკვეთა: სასტუმრო აბასთუმანში. დამკვეთი შპს „ტაო"

2012წ. შპს „ფრიზი" თანამდებობა, არქიტექტორი. მთავარი არქიტექტორი ზურა გიგაური.

2013წ. „officetechnologies" თანამდებობა, ინტერიერის დიზაინერი.

2013-2014წ. seu საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი. თანამდებობა- არქიტექტორი

2014წ. კერძო დაკვეთა ერთ ბინიანი საც. სახლი ქ. თბილისი დიღომი№7

## ტექნიკური უნარ-ჩვევები:

Microsoft Windows (2000, XP, Vista, Windows 7)

Microsoft Office 2007

AutoCad

AarchiCad

3D max

Adobe Photoshop

Serif Webplus

Coreldraw X5

Serif Drawplus

Swish max4

## ენები:

ქართული მშობლიური

ინგლისური **B2** დონე

რუსული **B2**დონე

## სერთიფიკატი:

„From2d to 3d: other works, and fashion too" university of florence

სამხატვრო აკადემია და ფლორენციის უნივერსიტეტი.

## კონკურსი:

**„The mid-polis"** ქბოსტონი. **online** კონკურსი.

კლაუზურა, ტექ. უნივერსიტეტი და სამხატვრო აკადემია. „არა ტერორიზმი" მონუმენტი (გამარჯვებული)

ქ. ახალციხე, რაბათი, „ორ გალავანს შორის სივრცე" (მონაწილე)

„architectural award 2012" ჟურნალი „სტილი" (გამარჯვებული)

2013წ. ქკიევი, „kiff"-ის საერთაშორისო კონკურსი(გამარჯვებული)

## ჰობი:

ცურვა, მუსიკა.

19/05/2013წ. თბილისი, საქართველო.

"SYNTHESIS" LTD * შპს "სინთეზი" * 416302003

SYNTHESIS

europass Curriculum Vitae

| | |
|---|---|
| პირადი ინფორმაცია | მარიამ წიკლაური |


გიორგი ბრწყინვალის №85 GE-2300 TETRITSKARO (Georgia)

+995599200932

wiklaurimari@ymail.com

სქესი მდედრობითი | დაბადების თარიღი 22 მარტი. 1991 | ეროვნება ქართველი


## სამუშაო გამოცდილება

**30 სექტემბერი 2013–დღემდე**

მოხალისე შუამავალი arkitekter utan gränser-სა(შვედური არასამთავრობო ორგანიზაცია "არქიტექტორები საზღვრებს გარეთ) და ადგილობრივ თემს შორის საქართველოში.

Arkitekter Utan Gränser, სტოკჰოლმი (შვედეთი)

-სამუშაო აქტივობები:

-ჩართულობა ვორკშოფში

-ვორკშოფის დაგეგმვაში მონაწილეობა

-თარგმნა ვორკშოფების განმავლობაში ინგლისურიდან ქართულად, და -ქართულიდან ინგლისურად

**23 სექტემბერი 2013-27 ოქტომბერი 2013**

საარჩევნო უბანზე კომისიის წევრი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში.

## განათლება და ტრენინგები

**19 ოქტომბერი 2009-30 ივლისი 2013**

არქიტექტურის რესტავრაციისა და კონსერვაციის ბაკალავრი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

შეძენილი უნარები:

-ფანქარში ხატვა

-აკვარელით ხატვა

-გეომეტრიული მოდელირება

-არქიტექტურული დაგეგმარება

-ქალაქგეგმარების ისტორია და პრინციპები

-არქიტექტურული პროექტის ვიზუალიზაცია

-არქიტექტურის რესტავრაციისა და კონსერვაციის პრინციპები

-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპები და რეკომენდაციები.

14 ოქტომბერი 2013-დღემდე

15 სექტემბერი 2014-დღემდე

მდგრადი არქიტექტურის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი .თბილისი

ურბანული დაგეგმარების და ტერიტორიული მენეჯმენტის მაგისტრატურის გაცვლითი პროგრამის მონაწილე

IST(Institoto Superior Tecnico)-ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტი.

03 მაისი 2013_29 მაისი 2013

ვორკშოფ "Augmented-Reality Tbilisi-ARTbilisi"-ის მონაწილე

ვორკშოფის ორგანიზატორი -ფლორენციის უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი

ვორკშოფის აქტივობები:

-ძველი შენობების ფასადთა აზომვა

-თბილისის ძველი უბნების ფასადებისა და ჭრილების გამოხაზვა

-ძველი სახლების ფასადთა ჩანახატები

-ნამუშევრების პრეზენტირება

-ურბანული არეს კვლევა

07 ივლისი 2013-22 ივლისი 2013

ვორკშოფ "Cross Cultural Dialogue:Influence of Italy Specially of Florence"-ის მონაწილე

ფლორენცია, იტალია

ვორკშოფის ორგანიზატორი-Fondazione Romualdo Del Bianco, Florence (Italy) , თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ვორკშოფის აქტივობები:

-მიქელანჯელოს ნამუშევრების შესწავლა

-მიქელანჯელოს ნამუშევრების გარშემო არსებული გარემოს დაკვირვება და შთაბეჭდილების მიღება

-ახალი თეზისის ჩამოყალიბება მიქელანჯელოსა და მთელი ფლორენციის გავლენის შედეგად.

- საბოლოო პროექტის მომზადება იტალიისაგან მიღებული შთაბეჭდილებიდან გამომდინარე

-ვორკშოფის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ექსპოზიციური პრეზენტირება

შპს "სინთეზი" SYNTHESIS LTD SYNTHESIS 416302003

10 ნოემბერი 2013-26 ნოემბერი 2013 — ვორკშოფ TED MINT 2013( Technology, Economy, Design)-ის მონაწილე

ვორკშოპის ორგანიზატორი - KTH Royal Institute of Technology, სტოკჰოლმი, შვედეთი

ვორკშოპის აქტივობები:

-ჯგუფური სამუშაო მოცემულ დავალებაზე

-მოცემულ დავალებასთან დაკავშირებული იდეების ტექნიკური რეალიზაცია

-იდეების წარდგინება შესაძლო კლიენტისათვის

## პირადი უნარ-ჩვევები

მშობლიური ენა — ქართული

სხვა ენები

| | გაგება | | მეტყველება | | წერა |
|---|---|---|---|---|---|
| | მოსმენა | კითხვა | საუბარში ჩართულობა | საუბრის პროდუქტიულობა | |
| ინგლისური | B2 | C1 | B2 | B2 | C1 |
| | TOEFEL IBT. 89 | | | | |
| შვედური | B1 | B1 | A2 | A2 | B1 |
| რუსული | A2 | A1 | A1 | A1 | A1 |

Levels: A1/A2: Basic user - B1/B2: Independent user - C1/C2: Proficient user
Common European Framework of Reference for Languages

კომუნიკაციის უნარი

-უცხო სასწავლო და სამუშაო გარემოსთან შეგუების კარგი უნარი.

-ინფორმაციის სწორად მიღებისა და გაცემის კარგი უნარი.

-ჯგუფური მუშაობის უნარი.

-სხვადასხვა პროფესიის და სხვადასხვა ასაკის წარმომადგენელ პიროვნებებთან ერთად მუშაობის კარგი უნარი.

რგანიზაციული/მენეჯერული უნარები

-ინიციატივის გამოჩენის უნარი.

-ორგანიზაციის უნარი

-მართვის უნარი

-ლიდერობის უნარი

სამსახურეობრივი უნარები

-შენობის აზომვა და გამოხაზვა ხელით.

-ჩანახატის შექმნა

-ნახაზების შექმნა კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

კომპიუტერული უნარები - Word, Excel, Power Point, ArchiCad, 3 ds max, Autocad, Photoshop.Lumion.

# ხელოვნებათმცოდნის წინასწარი მოსაზრებები და რეკომენდაციები სოფელ დართლოს 22 ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის

ულამაზესი ლანდშაფტით, თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობით, განსხვავებული ცხოვრების წესითა და საუკუნეების მანძილზე გამოცდილი მეურნეობის ფორმებით გამორჩეული პირიქითა თუშეთი დღეს ქვეყნისთვის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

პირიქითა თუშეთის ცოცხალ სოფლებს შორის ერთ-ერთ შედარებით კარგად შემონახულ ისტორიულ დასახლებას წარმოადგენს დართლო, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ზოგადი ურბანულ-გეგმარებითი სტრუქტურა. აქ შემორჩენილია, როგორც წმინდა თავდაცვითი და სამეურნეო ფუნქციის მქონე ნაგებობები, ამასთანავე, მრავალფუნქციური თუშური ტრადიციული საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც საცხოვრებელთან ერთად სათავდაცვო და სამეურნეო ფუნქციებიც არის შეთავსებული.

დართლოს გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, ნაგებობების რეაბილიტაციის პროცესი უკვე დაწყებულია. შესრულებულია ადრე (2008 წელს) შედგენილი პროექტების ნაწილის კორექტირება და მომზადებულია შენობების ერთი ჯგუფის საპროექტო დოკუმენტაცია. ამავე დროს დაწყებულია ფიზიკური სამუშაოების განხორციელება.

ამ ეტაპზე გათვალისწინებულია რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის გადამუშავება-კორექტირება 22 ნაგებობაზე; ესენია – №№ 2, 4, 7, 10, 12, 13, 15, 16, 17, 22, 25-35, 37, 39, 42, 43-1, 43-3, 44, 50, 52, 58, 64, 66 შენობები.

ნაგებობათა თავდაპირველი, ტრადიციული გადაწყვეტის ავთენტურობის ხარისხის გათვალისწინებით შესაძლებელია მოხდეს მათი დაჯგუფება მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით საყურადღებო, ან ნაკლებად ღირებულ ობიექტებად, რაც საფუძვლად უნდა დაედოს საპროექტო მეთოდოლოგიის განსაზღვრას. ამასთანავე, შენობათა ერთ ჯგუფს შეადგენს ის ნაგებობები,

სადაც უკვე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაშვებულია გარკვეული შეცდომები, რომელთა გამოსწორებისთვის აუცილებელია სათანადოდ კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით საპროექტო შენობები ამგვარად შეიძლება დაჯგუფდეს:

- ავთენტურობის მაღალი ხარისხით გამორჩეულ, ტრადიციული ტიპის ისტორიულ შენობებს წარმოადგენს №№2, 4, 16, 50, 64 და 66 საცხოვრებელი სახლები, რომელთა ფიზიკური მდგომარეობა განსხვავებულია, თუმცა მთლიანობაში, არც თუ ისე მძიმე. მათი მხატვრულ-ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე აუცილებელია პროექტირების მეთოდი იყოს რესტავრაცია, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება შენობებში შემორჩენილი ყოველი ძველი ელემენტის, იქნება ეს კარი, ფანჯარა, დარაბა, ლითონის ცხაური, აივნის აჟურული მოაჯირის ფრაგმენტი, თუ სხვა რამ, განსაკუთრებული სიფრთხილით დაცვა და გასაჯანსაღებელი მკურნალობისა და გამაგრებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

- ერთ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს სოფლის განაპირას, ქვედა ნაწილში გამავალი მთავარი სამანქანო გზის სიახლოვეს, განაშენიანების სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში განაწილებული შენობები, რომელთაგან ზოგი მთლიანად თავიდან არის აშენებული, ზოგი კი, ძველი სახლის ფრაგმენტებს შეიცავს მხოლოდ; ესენია: – №№7, 10, 12, 13, 17, 22, 25-35, 37, 39, 44, 52 სახლები. ამ ჯგუფის შენობების შედარებითი სიახლე და არატრადიციული გადაწყვეტა ძირითადად დაკავშირებულია XX ს-ის ბოლო ათეული წლებში ზვავების შედეგად სოფლის ამ ნაწილში არსებული ძველი ნაგებობების ნგრევასთან და თავიდან აშენებასთან. ამ სახლების სიმრავლე, მათ სტრუქტურაში გამოყენებული არატრადიციული არქიტექტურული ფორმები და მასალები, რასაც უმეტეს შემთხვევაში მშენებლობის დაბალი ხარისხიც ემატება, სერიოზულად ლახავს დართლოს საერთო მხატვრ[illegible]

ჯგუფის შენობათა პროექტირებისას დასაშვებია სხვადასხვა ტიპის სახეცვლილება, ზოგ შემთხვევაში გეგმარებისაც, იქ სადაც ეს აუცილებელია, რათა აღდგეს უხეშად დარღვეული ისტორიული ურბანული ქსელი, როგორც ეს არის №25-35 და №22 ნაგებობის შემთხვევაში; ამავე დროს აუცილებელია გადახურვის ქანობების ტრადიციული დახრის კუთხისა და ნაშვერის აღდგენა და ფიქალის ფენილის გამოყენება.
ამ ჯგუფის შენობებზე სწორი საპროექტო გადაწყვეტების დასადგენად განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იქნეს დამუშავებული და გაანალიზებული ძველი ფოტო-მასალა.

- განსხვავებულ ამოცანასთან გვაქვს საქმე შენობა №58 და №42-ის შემთხვევაში, სადაც უკვე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად დაკარგულია სართულშუა გადახურვების თავდაპირველი დონეები და შეცვლილია მოცულობების სილუეტები. ამის გამო, აუცილებელია ადგილზე შემორჩენილ კვალზე და ანალოგიურ მასალაზე დაყრდნობით, დასაბუთებულად მოხდეს პროექტების გადამუშავება.

- სხვა სირთულესთან არის დაკავშირებული ნაწილობრივ დანგრეული №43-1 და №43-3, ციხე-სახლების პროექტირება. ხანგრძლივი დროის მანძილზე დაზიანებულ მდგომარეობაში მყოფი ამ ნაგებობების სიძველისა და სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენების მყიფე კავშირის გამო დანაკარგები დიდია, ხოლო შემორჩენილი კედლების ფიზიკური მდგომარეობა კი, – მძიმე; შემორჩენილ მასალაზე დაყრდნობით და ბუნებრივია, სათანადო კონსტრუქციული დასკვნების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება, აღნიშნული ციხე-სახლების სრული რესტავრაცია, ან ნაწილობრივი აღდგენა და კონსერვაცია.

"SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

# კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი უ ლ ი   ნ ა წ ი ლ ი

## განმარტებითი ბარათი

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დართლის გამორჩეული მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, ნაგებობების რეაბილიტაციის პროცესი უკვე დაწყებულია. შესრულებულია ადრე (2008 წელს) შედგენილი პროექტების ნაწილის კორექტირება და მომზადებულია შენობების ერთი ჯგუფის საპროექტო დოკუმენტაცია. ამავე დროს დაწყებულია ფიზიკური სამუშაოების განხორციელება. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის გადამუშავება-კორექტირება 22 ნაგებობებაზე; ესენია – №№ 2, 4, 7, 10, 12, 13, 15, 16, 17, 22, 25-35, 37, 39, 42, 43-1, 43-3, 44, 50, 52, 58, 64, 66 შენობები.

შენობათა ერთ ჯგუფს შეადგენს ის ნაგებობები, სადაც უკვე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს დაშვებულია გარკვეული შეცდომები, რომელთა გამოსწორებისათვის საჭიროა მომზადდეს სათანადოდ კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს არსებული კონსტრუქციების გადაკეთებას (შეძლებისდაგვარად) და არა სრულ დემონტაჟს.

ზოგადად, საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს სახურავის მზიდი კონსტრუქციების გეგმა, ჭრილი, დეტალები, მასალის მოცულობები.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მზიდი კონსტრუქციების შეერთებებისა და ჩამაგრებების ჩვენებას (დეტალების სახით). ასევე უნდა დამუშავდეს და ნაჩვენები იყოს კარ-ფანჯრების კედელში ჩამაგრების დეტალები.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც რომ, ძლიერ დაზიანებული ან დეფორმირებული კედლების აღდგენა მოხდება გადაწყობის საშუალებით.

## დაზიანებების გამომწვევი მიზეზები და ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

### №2 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა

1. ხის დაზიანებული დეტალები შესაცვლელია იდენტურით (გადახურვის მორები, აივნის დეტალები, კარ-ფანჯარა და დარაბები.
2. გამოსაცვლელია გადახურვა (ფიცრები შეიცვლება ნივნივებით და ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).
3. მოსაწესრიგებელია ეზო და გალავანი.
4. აივნის კედელი გასალესია ტრადიციული მეთოდით (თიხისა და ნაკელის ხსნარით, ხელით).
5. კედლების ნაწილი გადასაწყობია.

### №4 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა

1. აღსადგენია აივნის დაკარგული ფრაგმენტები (ჭვირულორნამენტიანი ფარდები და მოაჯირი).
2. გამოსაცვლელია ხის დაზიანებული დეტალები.
3. კედლების ნაწილი გადასაწყობია, ხოლო აივნის კედელი გასალესია ტრადიციული მეთოდით (თიხისა და ნაკელის ხსნარით, ხელით)
4. გამოსაცვლელია გადახურვა (ფიცრები შეიცვლება ნივნივებით და ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).
5. მოსაწყობია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე.

"სინთეზი" * SYNTHESIS * LTD შპს 416302003

№7 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა

1. ნაგებობა შესაბამისობაში მოსაყვანი დართლოს მხატვრულ იერ-სახესთან.

№10 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა

1. შენობა დართლოს ტრადიციულ ხასიათში უნდა გადაწყდეს.
2. მოსახსნელია ფიცრული მინაშენი და პოლიეთილენის ცელოფნებით აკრული სივრცე.

## №12 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა, შენობას შეცვლილი აქვს პირვანდელი მდებარეობა, რის გამოც არღვევს სოფ. დართლოს ურბანულ ქსოვილს.

1. შესაცვლელია გეგმარება, ისე, რომ სახლის მეპატრონეც არ დარჩეს დაზარალებული და ურბანულ ქსოვილსაც დაუბრუნდეს პირვანდელი როგორც სახე, ასევე ფუნქციაც.

## №13 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა

1. გადასაწყობია კედლების დიდი ნაწილი.
2. შესაცვლელია გადახურვა (თუნუქის სახურავი შეიცვლება ფიქლის სახურველი, რომლის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).
3. ნაგებობა გადასაწყვეტია დართლოს ხასიათში.

## №15 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა. შენობა ამოვარდნილია საერთო ფონიდან.

1. შესაცვლელია იერ-სახე (შესაძლოა გეგმარებაც), რათა შესაბამისობაში მოვიდეს ერთიან სისტემასთან.

## №16 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა

1. გადასაწყობია კედლების დიდი ნაწილი.
2. ნაგებობის გარე პერიმეტრზე მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
3. სარესტავრაციოა და აღსადგენია ხის დეტალები (კარები, ფანჯრები, დარაბები და აივნის დეტალები).
4. გამოსაცვლელია გადახურვა (ფიცრები შეიცვლება ნივნივებით და ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).

შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

## №17 ციხე-სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა. ნაგებობას დაკარგული აქვს პირვანდელი სახე.

1. მოსახსნელია გვიანდელი დანამატები.
2. ნაგებობის გარე პერიმეტრზე მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
3. აღსადგენია №№ 47, 32, 50, 55 ციხე-სახლების მსგავსად (ფანჯრებისა და კარის ღიობები, აივანი, ქვის კიბე, დარაბები, კარები, გისოსებიანი ფანჯრები და ა.შ.).

## №22 სახლი



ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა. შენობა ახალია, აგებულია ომალო-დართლოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დროს. ნაგებობა არღვევს დართლოს ურბანულ ქსოვილს, კერძოდ, თითქმის კეტავს ერთ-ერთ მთავარ ქუჩას. ამის გამო სახლი გადასაწევია სიღრმეში, შესაბამისად, ნაგებობა დაიშლება და ახალი პროექტის მიხედვით აშენდება წინასწარ შერჩეულ ადგილას. პროექტში გათვალისწინებული იქნება დართლოს მხატვრული სახე – დართლოსთვის დამახასიათებელი სივრცითი გეგმარების შესაბამისად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობა აგებულია მდარე ხარისხის ტექნიკითა და მასალით, რის გამოც მისი ფიზიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებულ ელემენტარულ მოთხოვნებსაც, კი.

1. შესადგენია ახალი მოცულობის პროექტი.

## №25-35 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობას დამატებული ახალი მოცულობა, რომელიც არღვევს ურბანულ ქსოვილს.

1. ნაგებობის გარე პერიმეტრზე მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
2. დასაშლელია აღმოსავლეთი ფლიგელი
3. შენობის დასავლეთ ნაწილს, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, აღუდგება პირვანდელი სახე (№26 ციხე-სახლის მსგავსად).

## №37 სახლი



ბუნებრივი ფაქტორი: ზვავი

ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა. ამასთან ერთად, როგორც ირკვევა საარქივო ფოტოებიდან და სახლის მეპატრონესთან კერძო საუბრებშიც, შენობა არ დგას იქ, სადაც ადრე იდგა. იგივე საარქივო ფოტოებიდან ირკვევა, რომ ნაგებობა ორსართულიანი ყოფილა და 1981 წელს აუშენებიათ დღევანდელი სახით. საჭიროდ მიგვაჩნია სართულიანობის გაზრდას და პირვანდელი სახის დაბრუნებას.

შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" * SYNTHESIS 416302003

## №39 სახლი



ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა

შენობა იმდენად უსახურია, რომ საჭიროდ მივიჩნევთ, სამომავლოდ, მის ადგილზე ახალი, დართლოსთვის დამახასიათებელი მხატვრული სახის მქონე ნაგებობა გაჩნდეს.

1. შესადგენია ახალი მოცულობის პროექტი.

## №42 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა – უპატრონობა; ცუდად შესრულებული რესტავრაცია. კერძოდ, დაკარგულია სართულშუა გადახურვების თავდაპირველი დონეები და შეცვლილია მოცულობის სილუეტი. ამის გამო, აუცილებელია ადგილზე შემორჩენილ კვალზე და ანალოგიურ მასალაზე დაყრდნობით, დასაბუთებულად მოხდეს პროექტის გადამუშავება.

1. სართულშუა გადახურვები აღსადგენია პირვანდელი სახით.
2. ნაგებობის გარე პერიმეტრზე მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
3. ასაწევია სახურავის დონე.
4. დასამზადებელია კარ-ფანჯარა სოფელში არსებული ანალოგების მიხედვით.
5. მეორე სართული ფანჯრების ლიობების კონტურებია აღსადგენი.
6. გადახურვა შესაცვლელია (ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).
7. კედლების ცუდად აღდგენილი ნაწილი გადასაწყობია.

შპს „სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS

## №43-1 და №43-3 ციხე-სახლები



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა – უპატრონობა
ბუნებრივი ფაქტორი: წვიმა, თოვლი და სხვა ბუნებრივი მოვლენები.

1. ნაგებობების გარე პერიმეტრსა და ინტერიერში მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
2. გადასაწყობია კედლების დიდი ნაწილი.
3. №43-1 ციხე-სახლზე აღსადგენია სართულშუა გადახურვები არსებული ბუდეების მიხედვით და ორქანობა გადახურვაშია მოსაქცევი, ამით ციხე-სახლს დაუბრუნდება პირვანდელი იერ-სახე.
4. №43-3 ციხე-სახლს ნაუტარდება პროექტით გათვალისწინებული საკონსერვაციო სამუშაოები.

## №44 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: აღდგენილია არასწორად, თვითონ მეპატრონის მიერ, შესაბამისად დაშვებულია უამრავი შეცდომა. ნაგებობის გაჯანსაღებისთვის საჭიროდ მიგვიჩნევთ:

1. მოიხსნას გვიანდელი, შეცდომით შესრულებული დეტალები.
2. გადაეწყოს მთლიანად მეორე სართული და №42 და №55 ციხე-სახლების მსგავსად გახდეს სამსართულიანი.
3. ნაგებობის გარე პერიმეტრსა და ინტერიერში მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
4. გასახსნელია პირველი სართულის ამოქოლილი კარი.

5. ანალოგებად გამოყენებული იქნება ზემოხსენებული №42 და №55 ციხე-სახლები.

## №50 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა

1. ნაგებობის გარე პერიმეტრზე მოსახსნელია მიწა (არქეოლოგის მეთვალყურეობით).
2. გადასაწყობია კედლების ნაწილი (სამხრეთ ფასადს რამოდენიმე ტექტონიკური ბზარი აქვს).
3. აღსადგენია ხის დაკარგული დეტალები (აივნის ჭვირულორნამენტიანი მოაჯირი და ფარდა, ასევე დარაბები).
4. სარესტავრაციოა ხის არსებული დეტალები (კარები, ფანჯრები).
5. გამოსაცვლელია ხის დაზიანებული დეტალები და ფანჯრები.
6. გამოსაცვლელია გადახურვა (ფიცრები შეიცვლება ნივნივებით და ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).

## №52 სახლი



ადამიანური ფაქტორი: უხარისხო მშენებლობა

მოცემული სახლი არ აკმაყოფილებს დართლოს მხატვრულ მოთხოვნებს. ნაგებობის გაჯანსაღებისთვის საჭიროდ მივიჩნევთ:

1. გადაეწყოს კედლის ნაწილი.

"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS
416302002

2. შენობის მთელ სიგრძეზე სამხრეთი მხრიდან უნდა მოეწყოს ხის მორებიანი აივანი.
3. თუნუქის სახურავი შეიცვლება ფიქალის ორქანობა გადახურვით, ხოლო ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).
4. სახლის ჩრდილოეთით გაკეთდეს დრენაჟი წყლის ასარიდებლად.
5. შესაცვლელია კარ-ფანჯრები სოფელში არსებული ძველის ანალოგით.

№58 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: უხარისხოდ და კანონის დარღვევით შესრულებული სამუშაოები.

1. გადასაწყობია კედლის მცირე ანწილი.
2. თუნუქის სახურავი შეიცვლება ფიქალის გადახურვით, ხოლო ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).
3. მოსახსნელია სამხრეთი მხრიდან მიდგმული ხის უკანონო მოცულობა.
4. მოაჯირი აღსადგენია საარქივო ფოტოს მიხედვით.

№64 ციხე-სახლი



ეს ციხე-სახლი ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე კარგადაა შემონახული, თუმცა აქაც ვხვდებით ადამიანის მიერ არასწორად გაკეთებულ ნიუანსებს, რომლებსაც პროფესიონალური მიდგომა გამოასწორებს. ძეგლის გაჯანსაღებისთვის საჭიროდ მივიჩნევთ:

1. მოიხსნას მიწა გარე პერიმეტრზე.
2. გამაგრდეს ხელოვნური სუბსტრუქციის კედელი.

"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS

3. აღდგეს აივნის ჭვირულორნამენტიანი მოაჯირისა და ფარდების დაკარგული ფრაგმენტები.
4. რესტავრაცია ჩაუტარდეს კარ-ფანჯარებსა და დარაბებს.
5. აივნის ხის დეტალები გასუფთავდეს "ლაქის" ფენისგან.
6. გამოიცვალოს გადახურვა (ფიცრები შეიცვლება ნივნივებით და ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა).

№66 ციხე-სახლი



ადამიანური ფაქტორი: მოუვლელობა – უყურადღებობა

1. მოსახსნელია მიწა გარე პერიმეტრზე.
2. მოსაწესრიგებელია აივანი.
3. თუნუქის სახურავი შეიცვლება ფიქალის გადახურვით, ხოლო ფიქალის გადახურვის ქვეშ მოეწყობა წნული ლასტი და ჰიდროსაიზოლაციო ფენა.
4. მე-2 სართულის ჩრდილოეთი ოთახის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები ამოშენდება.
5. გაიხსნება პირველი სართულის სამხრეთი და მეორე სართულის აღმოსავლეთი სარკმლები.
6. გადაეწყობა კედლების მცირე ნაწილი.
7. რესტავრაცია ჩაუტარდება ხის დეტალებს (კარები, ფანჯრები, დარაბები).

შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * SYNTHESIS * 416302403

ᲡᲝᲤ ᲓᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲪᲘᲮᲔ-ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ 2014 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲤᲘᲥᲡᲐᲪᲘᲐ



შ.პ.ს. სინთეზი

2014 წ.

"SYNTHESIS" LTD * 416302003 * შპს "სინთეზი"

სახლი №2





"SYNTHESIS" LTD * 416302003





"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS
416302003

სახლი №4





"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS
416302003

სახლი №7





"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS
416302003

სახლი №10





"SYNTHESIS" LTD * 416302003





"SYNTHESIS" LTD * 416302003 * შპს "სინთეზი"
SYNTHESIS

სახლი №12





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003





SYNTHESIS

სახლი №13





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS





შპს * სინთეზი * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

სახლი №15





"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS
416302003

სახლი №16







"SYNTHESIS" LTD
416302003

სახლი №17





"SYNTHESIS" LTD
416302003

სახლი №22





"SYNTHESIS" LTD
416302003
SYNTHESIS

სახლი №25





სახლი №37





"სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003 შპს
SYNTHESIS

სახლი №39





სახლი №42





"სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

სახლი №43-1





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

სახლი №43-3





"SYNTHESIS" LTD
SYNTHESIS
416302003

სახლი №44





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

სახლი №50





"SYNTHESIS" LTD * 416302003

სახლი №52





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

სახლი №58





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416382003
SYNTHESIS

სახლი №64





შპს "სინთეზი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003
SYNTHESIS

სახლი №66





შპს "სინთეზისი" * "SYNTHESIS" LTD * 416302003